გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 182
2023 წლის 13 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.31.548) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 29 აგვისტოს N5/46901 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქალაქ გორში, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი 66.45.31.548 სახელმწიფოს საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, შემდგომში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე ტერიტორიული ორგანოების, (სამმართველოების) მეშვეობით. გორის მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მეშვეობით, დღეის მდგომარეობით არსებული შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი არის მცირე ფართის და არ შეესაბამება დეპარტამენტის საქმიანობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ქალაქ გორში, დაგეგმილი აქვს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის საჯარიმო ავტოსადგომის და ჩამორთმეული ნივთმტკიცებების შესანახი შენობის მოწყობა. აღნიშნული მიზნისთვის გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.45.31.548) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში მისი სარგებლობის უფლებით სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 29 აგვისტოს N5/46901 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარედ 5784.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.45.31.548.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე